მატჩი ალმა-ათაში

”ქაირათი” (ალმა-ათა) – ”დინამო” (თბილისი) 2:2 (1:0).

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

”ქაირათი”: უბიკინი, შადიევი, ტალგაევი, კუკლევი, მიშჩენკო, ნიკიტენკო, ბერდიევი, გლადილინი, სტუკაშოვი, ჯუმანოვი (შოხი), ფეხლევანიდი.

”დინამო” იმნაძე, ხიზანიშვილი, ანდღულაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, კაკილაშვილი, სვანაძე, თავაძე, ჟვანია, ჯოხაძე, ჩელებაძე (მესხი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს სვანაძე.

დუბლიორები - 1:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გურულმა, ფრიდონიშვილმა და ლაცაბიძემ.

”ქაირათს” ამ დღეს მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა ებრძოლა გამარჯვების მოსაპოვებლად: ჯერ ერთი, გუნდმა წინა 2 ტურში წააგო გასვლითი შეხვედრები და კარგად აღებული სტარტის შემდეგ საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა; ამას გარდა - ეს იყო გუნდის საიუბილეო, მე-600 ასპარეზობა უმაღლეს ლიგაში. ამას სათანადო აღნიშვნა ესაჭიროებოდა. თბილისის დინამოელებს აკლდათ სსრ კავშირის ნაკრებში გაწვეული წამყვანი ფეხბურთელები - სულაქველიძე, ჩივაძე, დარასელია, შენგელია, აგრეთვე, გაბელია და ცავა. როდის, თუ არა ახლა, უნდა ეფიქრათ ალმა-ათელებს გამარჯვებაზე?

თბილისელებმა, მიუხედავად ამ დანაკლისისა, მთელი მატჩი აქტიურად ჩაატარეს, ყველა რგოლი მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მეკარე უბიკინს არაერთხელ მოუხდა ძნელი ბურთების აღება. მატჩი სანახაობრივად მეტად საინტერესო, დაძაბული გამოდგა.

მიუხედავად დინამოელთა უპირატესობისა, ტაიმის ბოლოს, 43-ე წუთზე ჯუმანოვის გადაცემის შემდეგ ფეხლევანიდიმ გახსნა ანგარიში - 1:0.

66-ე წუთზე მეკარე უბიკინთან ბრძოლაში ზუსტად ითამაშა კაკილაშვილმა - მოასწრო ბურთი გადაეცა ჟვანიასთვის. ანგარიში გათანაბრდა - 1:1. 82-ე წუთზე კი ანდღულაძემ სწრაფი რეიდის შემდეგ ბურთი გადააწოდა მესხს და თბილისელები წინ გავიდნენ - 2:1.

89-ე წუთზე ი. სერგიენკომ პენალტი დანიშნა სტუმრების კარში, ბერდიევმა ზუსტად დაარტყა - 2:2.

”ლელო”, 3 ივნისი, 1982 წ.